




მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის კუთხით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ხარვეზები და გამოწვევები რჩება, მათ შორის:


- იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საკითხებზე სხდომებს არასაკმარისი სიხშირით ატარებს, რაც დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურების განმაპირობებელი ფაქტორია. 2019 წელს საბჭომ დისციპლინურ საქმეთა განხილვის მიზნით მხოლოდ 2 სხდომა გამართა;
- კვლავ ხარვეზიანია დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევის წესი, რაც ვერ უზრუნველყოფს ინსპექტორის სათანადო ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას;
- კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნების მაილენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე გამოქვეყნებას. დასკვნები ხელმიწვდომელია საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაშიც, რაც გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს;
- არ ქვეყნდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებელია, კოლეგიის საერთო შემადგენლობის 5-დან ორმა წევრმა (თუკი კოლეგიას სამი წევრი ესწრება) მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს, რაც საფრთხეს უქმნის დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას.

საბჭოს მიერ შენყვეტილი საქმეები 2019




- საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება
- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაკეროვნად შესრულება
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა
- აქტის კანონიერება

დისციპლინური საჩივრების რაოდენობა 2019



მოსამართლის პასუხისგებაში მიცემაზე განხილული საქმეები 2019



რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას

- მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დისციპლინურ სამართალწარმოებაში ჩართულმა ორგანოებმა დროულად, ობიექტურად და ეფექტურად უპასუხონ მოსამართლეთა დისციპლინურ გადაცდომებს;
- მნიშვნელოვანია, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი და თანმიმდევრული პრაქტიკა;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ, მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევა საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით;
- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნების, ასევე დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამოქვეყნება, მხარეთა მაიდანტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით;
- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

სასამართლო რეფორმების შედეგების შეფასება - მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა სრულად ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2S4fK6U>. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფრანგული მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.